

საგზიელი

საორბული გაზეთი

შაბათი 19 აპრილი 2003 №70 (1841)

ფასი 50 თეთრი

ჩეალი

ბარსელონა

ხასტილია

ხაბლონია

ფეხბურთის ქომავს მოეხსენება, რასაც ნიშნავს დე-რბი. ის ძალიან ბევრს ნიშნავს. იმავე ქომავმა იცის, რას ნიშნავს ესპანური სუპერკლასიკო. ის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე დერბი. ეს არ არის უბრალოდ ორი დიდი გუნდის თამაში. ეს მსოფლმხედველობათა ბრძოლაა და პოლიტიკურიც. კატალონიელებს ხომ მაინცდამაინც არ უყვართ კასტილიელები. მაგრამ კატალონიელები ბასკებიც არ არიან, ბომბებით რომ გამოხატონ თავისი სიძულვილი. კატალონია ესპანეთის უმდიდრესი პროვინციაა და ბრძოლის მეთოდებიც სხვანაირი აქვთ. მათგან ერთ-ერთი მთავარი „ბარსელონასგან“ „რეალის“ ძლევაა. და თუ დღეს დიდებულ „სანტიავო ბერნაბეუზე“ „რეალი“ თავის ნებას ვერ მოახვევს არქიმეტოქეს, მადრიდული ინჩასა ამოუბის მორევში გადაეშვება.



იმ 75 ქართველს შორის, 30 აპრილის საქართველო — რუსეთს „ლოკომოტივზე“ რომ ნახავს, რკინიგზის დეპარტამენტის შეფი აკაკი ჩხაიძეც იქნება. ამ ამბავში გასაკვირი აბა, რა უნდა იყოს — ახალი „ლოკომოტივი“ ხომ რკინიგზის საკუთრებაა, მაგრამ თავში ნახსენები 75 ქართველის ვინაობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უნდა დაედგინა, იმ ფედერაციას, რომელსაც ახლახან აკაკი ჩხაიძემ წერილობით აცნობა, თქვენთან საქმის დამჭერი აღარ ვარ, 20 000 რკინიგზელის რჩევით „ლო-

ჩოლარბაა ჩხაიძეს სტოპ-ბრანდიან ხელი ააღებინა

კომოტივი“ ეროვნული ჩემპიონატიდან გამყავს, თასსზე თამაშს კი გავაგრძელებთო. მაშინვე ვიეჭვებო, ჩხაიძე სიტყვის შემსრულებელი არ იყო — ისემც ყველაფერი კარგად აგინხდეთ. გუშინ სამეგრელომთავლი-ლმა ჩხაიძემ და სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარბამ საერთოენა გამონახეს (უკვე მერამდენედ) და გვამცნეს — დღეს „ლოკომოტივი“ „დინამო-

სთან“ თასის ნახევარფინალშიც ითამაშებს და მომავალ კვირას, ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩშიც გავა მოედანზეო. ვიდრე ლოკომოტიველი ფეხბურთელები უფროსობის პასუხის მოლოდინში უხალისოდ ვარჯიშობდნენ, ნახევარფინალის მეორე წყვილის გუნდები ერთმანეთთან შესახვედრად თავისებურად ემზადებოდნენ. ბოლნისის გზაზე დამდგარმა ქუ-

თაისის „ტორპედომ“ ნუხელ თბილისში გამოიძინა და დღეს გაეშურება ქვემოქართლს, სადაც ეკლესიამოვლილი სიონელები დაუხვდებიან. საქმე ისაა, რომ თემურ მახარაძემ გუშინ გუნდი ბოლნისის სიონში წაღალა და ღმერთს შესთხოვა, ფეხს გავანძრევთ და დახმარება მოგვაკლოო.

იხილეთ მეოთხე გვერდი

ოთხთა ფინალში მესამე ქართველი 15 ქულით შევიდა

დრეკენ ბრაიკოვიჩმა რომ ივაჯავოს და ყველა რჩეულ ქართველ ქალათბურთელს მოუყაროს თავი, მშვენიერ გუნდს მიიტებს. ორი ქართველი ნბა-შია, სამივე ევროლიგაში და ეს უკვე სერიოზული ძალაა. იმ სამიდან ორს, ვოვა ბოისასა და ზაზა ფაჩულიას სახელი დაუმძიმდათ, მესამე, მანუჩარ მარკოიშვილი კი ახლა აცნობს თავს ელიტარულ საზოგადოებას. გუშინ მანუჩარმა 15 ქულა ჩაუგდო ევროლიგის შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ „კინდერს“. მისმა „ბენეტონმა“ კი ერთი ამოსუნთქვით გაიბრძინა მეორე ჯგუფური ეტაპი და მაისში: ბარსელონაში ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მარკოიშვილი კი ვოვა სტეფანიასა და ნიკა ცქიტიშვილის

შემდეგ ევროლიგის ოთხთა ფინალში მოხვედრილი მესამე ქართველია. ვოვა ბოისას კი შანსი ჰქონდა, მარკოიშვილის ყვალად განგვრძო ევროსეზონი. მანაც 15 ქულა მოუწვია საკუთარ გუნდს, „ოლიმპიას“, რომელსაც სულ ცოტა დააჯლდა ბარსელონაში „ბარსელონას“ დამარცხებამდე. ივაჯავა ფაჩულიამაც, 13 ქულით და 17 მოხსნით შეხიდა ბოლონიაში გამარჯვებულ „ულქერს“. ერთი სიტყვით, ევროლიგის ბოლო ტური მართლა ქართული გამოდგა. წინ კი ოთხთა ფინალია, სადაც მარკოიშვილის „ბენეტონი“ პირველი ფავორიტია.



იხილეთ მეორემეტე გვერდი

მანუჩარ მარკოიშვილმა ევროლიგას გემო ჩაატანა

დავით ყიფიანის თასი

ნახევარფინალი. პირველი მატჩი

ლოკომოტივს სადილზე თასი აჭამეს, ვახუშაზე ჩემპიონატი

ერთ კვირაში „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ ზედიზედ ორჯერ შეხლა გვარდანი ინტრივის და დამაბუღობის მანიშნებელი კია, მაგრამ არა გვერდია, ოთხი დღის წინანდელი მატჩის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციამ რკინიგზელთა და დინამოელების დაპირისპირება კიდევ ინატროს. არადა, დღეს იქით ფედერაციას ამითი კიდევ ორი ომი აქვს გადასაგორებელი.

მოდინ, მას შემდეგ, რაც რკინიგზელთა „დინამოსთან“ საჩემპიონატო მატჩი წააგეს და მარცხის ერთადერთ მიზეზად მსაჯის ლეგან ფანიაშვილი დაასახელეს, „ლოკომოტივის“ თავკაცობა ბოიკოტით დაიშუქრა, ჩემპიონატი აღარ მივიღებთ მონაწილეობას.

რებასაც ხომ ფედერაცია ატარებს. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, გუშინ შუადღემდე მაინც გაურკვეველი გახლდათ რკინიგზული გუნდის ბედ-იბაღი. ვითარება იმნაც დაბაბა, რომ „ლოკომოტივის“ ფარმ-კლუბი გუშინწინ გურჯაანში სათამაშოდ არ წავიდა იქაური „ლაზანი“ პირველი ლიგის მორიგ ტურში სტუმარს ამაოდ ელოდა.



რატი ალექსიძე და გიორგი ბალაშვილი დღეს სათასოდ შეიბმებიან

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 19 აპრილი. 16 საათი

სიონი — ტორპედო

შპს „სპორტი“. მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); გ. ლიგოიძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); სფშ-ის ინსპექტორი: გ. მამუკაშვილი; დირექტორი: ს. კორტიკაძე; ინსპექტორ-ფინანსური: დავითი (სიონი)

დღეს „თემურ სტეფანიაზე“ დიდი ვნებათაღელვება მოსალოდნელი. საქართველოს თასის ნახევარფინალში მადგახსნილი ბოლნისის „სიონი“ და ბოლოხანს გამარჯვებულს დანატრებული ქუთაისის „ტორპედო“ შეეჯახებიან ერთმანეთს. ბრძოლა რომ იქნება, ცხადია, მით უმეტეს, ქვემო ქართლელთა რიონისპირელები ახლახან ეროვნულ ჩემპიონატში დაამარცხეს

სტადიონი რომ გაივსება, ფაქტია. მთელი ბოლნისი დღევანდელი მატჩის მოლოდინშია და საყვარელი გუნდის გასამხნეველად უკან არ დაიხვეს. იქაურებს ვერც გადაუღებელი წვიმა შეაშინებს. ოთხი დღეა, ბოლნისში ცას პირი მოუღია და „თემურ სტეფანიაზე“ მომუშავე პერსონალსაც საქმე მოსძალებია. დატბორილ მოედანს მთელი დღეების განმავლობაში აპრობენ მასინძლები. მოედანზე გუბებს კი ამოვარობთ, მაგრამ ალბათ ტალახს ვერ ავცდებით, ირწმუნებიან ქვემოქართლელი. ტალახში ბურთაობა რა ბედენაა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც „სიონის“ წისქვილზე ასხამს წყალს. ბოლო ორ სამინაო მატჩში სწორედ ნაწვიმარ მოედანზე დასცეს ბოლნისელებმა ჯერ თბილისის „ლოკომოტივი“ და მერე ქუთაისის „ტორპედო“.

სამატჩოდ თემურ მახარაძის შევირდები მეთითხედფინალში თბილისის „სპარტაკის“ დაფრენის შემდეგ ემზადებიან. ამიტომაც იყო, ქვემოქართლელი ჩემპიონატის ბოლო ტურში ფოთის „კოლხეთს“ შესუსტებული შემადგენლობით რომ ესტუმრნენ.

ფეხბურთელები მთელი სერიოზულობით ემზადებიან მეტოქის შესაბამისად. კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდს გამორჩეულად გაზრდილი პრემიებიც დაუწესა და ეს „სიონის“ ისედაც მოჭარბებულ მოტივაციას კიდევ უფრო წაადგება.

გუშინ ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელ-ფეხბურთელები სიონის ტაძარში სალოცავად ავიდნენ. ძნელი გამოსაცნობი არაა, რას შესთხოვენდნენ ღმერთს ბიჭები.

თემურ მახარაძის გუნდი ტალახსა და სამინაო კედლებში თუ რამე საიმედოს ხედავს, კახა დაუშვლისა და იოსებ დევიდისგან არაფერს უნდა ელოდოს. გადაწყვეტილი ამბავია — ეს ორი ფეხბურთელი „ტორპედოსთან“ ვერ თამაშებს. ორივეს არყოფნის მიზეზების ძიებას ფოთში მივყავართ. ზღვისპირულ „კოლხეთთან“ საჩემპიონატო მატჩში გაფრთხილებული დავით

ბოლნისი სიონი ლოკომოტივს მზრალი ტორპედო ტალახში დასვლელბას აპირებს

ვილი დისკვალიფიკაციის გამო ვვარ თამაშებს, ტრავმირებული დევიძე კი ისევ ფეხს იტყვიებს... გუშინ ქუთაისის „ტორპედო“ მშობლიურ სალონის საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშა და სადამოს თბილისისკენ აიღო გეზი. ქუთათურებმა დავე სასტუმროში გაათიეს და დღეს უკვე ბოლნისის მიაშურებენ.

ქვეყნის სამეზბის ჩემპიონებს დისკვალიფიცირებული თუ ტრავმირებული არავინ ჰყავს და „სიონთან“ სათამაშოდ საბრძოლო შემადგენლობა მიჰყავთ.

გუნდის უკრანელი თავკაცი ალექსანდრ შტეფლინიც იმედინადაა, მეტოქეს ორი მატჩის ჯამში აუცილებლად უნდა ვაჯობოთ.

რიონისპირელებს გამოჯანმრთელებული ზაზა ზირაქიშვილისაც ეიმედებათ. სწორედ მან მოაგებინა „ტორპედოს“ გორის „დილასთან“ მეთითხედფინალის საპასუხო მატჩში.

გუშინვე „ტორპედოს“ მწვრთნელ სოსო ფრუიძეს შევეხმიანეთ:

— „სიონთან“ დაძაბული მატჩი გველის, მაგრამ ეს ეტაბი უნდა დავედოთ და ფინალში გავიდეთ. მეტოქის ძალა ახლახან გამოვცადეთ საკუთარ თავზე და ვიცით, რა რთული ბრძოლაც იქნება. ჩვენ უკან არ დავიხვეთ. თასის ფინალში „ტორპედომ“ უნდა ითამაშოს. მართალია, ბოლოხანს გოლის გატანა და შესაბამისად მოგება გვიჭირს, მაგრამ ვფიქრობ, ნაცის გატყვის დრო უკვე მოვიდა. შესაძლოა, ეს ფაქტი ბიჭებზე ფსიქოლოგიურა-

დაც მოქმედებს. ამიტომ „სიონთან“ წარმატება ჩვენთვის აუცილებელია. სოსო ფრუიძეს „ტორპედოს“ შემცირებულ საჩემპიონო მანსებზეც დავეკითხეთ:

— იოლი არც ჩემპიონობა და არც

თასის მოგება, მაგრამ, ცხადია, თასზე უფრო მეტი მანსი გვაქვს. ასეთია „ტორპედოს“ წინასამატჩო განწყობა. დანარჩენი კი დღეს „თემურ სტეფანიაზე“ გამოჩნდება.

დასა ზალაგბინიძე



ლეგან შაგვლიძე (მარჯვნივ) და „სიონის“ „ტორპედოს“ კიდევ ერთხელ დამარცხებაზე ოცნებობენ

ოქროს მატჩის კუში



არსენ გენგერი და ალექს ფერგიუსონი პრემიერლიგაში შესაძლოა, კიდევ ერთხელ შეხვდნენ

ახა, კარგი 250 კუში: „უილიამ პი-ლმ“ და „დრეგონი“ თანხა სწორედ ამდენით იმარტყებიან, თუ პრემიერლიგის ჩემპიონის გამოსავლელად დადგებიან, „ოქროს“ მატჩის გამართვა გახდება საჭირო.

ორბურთიან ჩამორჩენას ნიშნავს ფერგიუსონის გუნდის მატჩებში 63:31, ვენგერისა კი — 69:36.

მრიბ გერმანსა შრღებს მანქანა გაშრებს



ბოზის მედლები არ დააბებს

სერ ბობი ჩარლტონი იმ დროს ლონდონის „კაიბერზე“ იჯდა და თავისი „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და მასპინძლების ღიღებულ თამაშს უცქერდა.



სანამ ბობი რობსონი და მისი ცოლი ნორმა „კაიბერზე“ „მანჩესტერს“ ქობაგობდნენ, ქურდები მათ სახლში მშვილად მუშაობდნენ

ლივის თავკაცობა თადარიგს უკვე იჭერს — გამოცხადდა, რომ საჭიროების შემთხვევაში „ოქროს მატჩი“ ბი-მინგემის „ვილა პარკზე“ გაიმართება. აი, თარიღზე კი ჯერ ზუსტად არ თქმულა — საერაულო 14 და 21 მაისი არცთუ ოპტიმალურია: 11 მაისს „არსენალი“ თასის ფინალში „საუთჰემპტონს“ ხვდება, 20 მაისს კი ინგლისის ეროვნული გუნდი სამხრეთ აფრიკაში თამაშობს.

...მაგრამ ფსონები უკვე შედის ინგლისურ საბუქეიკრო კანტორებში, რომლებმაც ოთხშაბათის ფრედ დამთავრებულ მატჩზე ისედაც რეკორდული თანხა მიიზიდეს — ამდენი ჯერ არასდროს დადებულა ერთ პრემიერლიგურ მატჩზე. როგორც ითქვა, მილიანობაში 6 მილიონი გირვანქა (დაახლოებით 10 მილიონი დოლარი) გაიღო ახარტულმა მოსახლეობამ „არსენალი“ — „მანჩესტერის“ ამა თუ იმ ფსონზე დასადებად. სხვათა შორის, ცნობილია, რომ დაახლოებით 2 ათასმა კაცმა ზუსტად გამოიცილა პირველი გოლის გატანის ვინაობა (რუდ ვან ნისტელროი) და დადებული თანხა ოთხნახევარჯერ გაზარდული დაიბრუნა.

ბოლოს იმასაც ვიტყვი, რომ დამატებით შეხვედრას ინგლისური პრემიერლიგა 1996 წელსაც ელოდა. მაშინ „უემბლზე“ დაგეგმილი მატჩის ბილეთების კი დაიბეჭდა, მაგრამ ფერგიუსონის „იუნაიტედმა“ მთავერხა და კევინ კიგანის „ნიუკასლს“ ზედ ფინიშის სწორზე გაასწრო.

გიგა კოზახიძე

ოლიმპიკა კლავ ფარჩა

ბრავილია

ბიუტანტის ძლიერს შემდეგ „სან პაულუმ“ პირველი მოგება ჩაიწერა და მეცამეტე ადგილზეა.

ბიუტანტის ძლიერს შემდეგ „სან პაულუმ“ პირველი მოგება ჩაიწერა და მეცამეტე ადგილზეა.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like კრუზეირო, იტლ. მინეირო, ინტერნასიონალი, ფლომენგო, პარანა, გრემიო, ვიტორია, გუარანი, სან კაეტანო, კორინთიანსი, კარისომა, სანტოსი, სან პაულუ, ვასკუ და გამა ბაია, პონტე პრეტა, შუვერტულე, იტლ. პარანენსე, ფლუმინენსე, ბაისანდუ, ფიგეირენსე, ფორტალეზა, გოიასი, კურიტიბა.

ბერმანია

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like გულდოფერი 0:2 პარლსრუე, კიოლნი, ფრაიბურგი, აინტრახტი, მიანიცი, ფიურტი, ტირი, ალემანია, დუსელდორფი, ლიუბეკი, როტლინგენი, ბურგჰაუსენი, უნიონი, ობერჰაუსენი, ალენი, კარლსრუე, ზტ პაული, ბრაუნშვაიგი, ვალდოფი.

შუვიტარია

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like სარავიტი 3:1 თუხე, გრასკოპერი, ბანელი, იანგ ბოისი, ჟამაქი, სერვეტი, ციურისი, თუნი, ვილი.

Copa Toyota Libertadores '2003

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like რივერ პლეტი (არგენტინა), ლიბერთადი (პარაგვაი), დეპორტივო კალი, რივერ პლეტი, ლიბერთადი, ემელეკი.

Table with columns I, X, 2, I-X, I-2, X-2. Contains product codes and prices for various goods like oils, flours, and other food items.

Table with columns I, X, 2, I-X, I-2, X-2. Contains product codes and prices for various goods like oils, flours, and other food items, including a section for 'შეტყობის...'.

Table with columns I, X, 2, I-X, I-2, X-2. Contains product codes and prices for various goods like oils, flours, and other food items, including a section for 'შეტყობის...'.

I ტაბლის შიგნით

Table with columns I, X, 2, I-X, I-2, X-2. Contains product codes and prices for various goods like oils, flours, and other food items.


ფორმულა 1. სან მარინო. 19 აპრილი (23.45)

Table with columns 4001 ბაზარზე, სან მარინო, 4002 შსპრ. ვაშ, 4301 ბაზარზე, 4003 შსპრ. ვაშ. Contains various food items and their prices.

F1

მომხმარებელი სან მარინოს დიდი პრიზი
ენცი და დინო ფარნაჩის ტრასა

იმორა, 20 აპრილი



ბრანის სიგრძე 4.933 კმ
ბრანის დისტანსია 62 წრე - 305.609 კმ
რამოლა რაიონში თბილისის რაიონი 17 საათზე

შარხანდელი შედეგები: 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 რ.შუმახერი (უილიამსი); 4 მონტოია (უილიამსი); 5 ბატონი (რენო); 6 კულჰარდი (მაკლარენი)

წრის რეკორდი: 2002 - ბარიკელო (ფერარი) 1:24.170 (211,0 კმ/სთ)

სანმარინოული არჩივი


Table with columns: Driver, Nationality, 2002, 2001, 2000, 1999, 1998, 1997. Lists drivers like Schumacher, Prost, Senna, etc.

სამართალმა პრიზი ჭამა რაიკონენზე ბათხოვილი ფიზიკალაზე ბამოტხოვიდა

კონტინენტზე თენახევის ხეტილის შემდეგ ფორმულა შინ, ევროპაში დაბრუნდა, „სამეფო რბოლები“ ათივე გუნდი ხომ სწორედ აქ ბინადრობს.

ლო პირად-გუნდურ ჩათვლაში ლიდერი, უკვე ოთხზღვიანი „მაკლარენი“ — წარმატებული სერიის გაგრძელება.

სმა გაიქროლეს უსწრაფესად. ასე რომ, სადღისო, ძირითადი კვალიფიკაციის წინ მტოქებზე ხელსაყრელ ვითარებაში არიან — ტრეკზე ყველაზე ბოლოს გაულენ.



სხვისი არა მინდა რა კიმი რაიკონენმა ბრაზილიის დიდი პრიზი ნამდვილ გამარჯვებულს ჩანკარლო ფიზიკელას გადაულოცა

NHL სტანლის თახი. პირველი წრე

ადოსავლეთი

ნიუ ჯერსი 4:1 ბოსტონი
ნიუ ჯერსი 3:0 ბოსტონი 1:0 0:0 2:0

1:0 მადენი (9), 2:0 ლანგნბრუნერი (48), 3:0 ლანგნბრუნერი (60)
„ამისხენით, როგორ უნდა მოეუფოთ ისეთ გუნდს, რომელიც ჩვენზე გაცილებით ძლიერია.“ — მხრებს იჩინა მატჩის შემდეგ ბოსტონის ლიდერი ჯო ტორნტონი.

ოტავა 4:1 ათლანტის

ოტავა 4:1 ათლანტის 1:0 2:1 1:0

1:0 პელატი (14), 1:1 ბერიზი (27), 2:1 უაიტი (32), 3:1 ბაინი (39), 4:1 ბაინი (58)
როგორც იქნა, ოტავამ დაამტკიცა თავისი ფავორიტობა და გაიმარჯვა „ათლანტისთან“ სერიაში.

დასავლეთი

დალასი 5:2 ედმონტონი 2:0 1:0 2:2

1:0 იანგი (10), 2:0 ზუბოვი (10), 3:0 მოდანი (26), 4:0 ზუბოვი (46), 4:1 კობრი (50), 4:2 ბრიუერი (55), 5:2 მალოტრა (59)
საინტერესოა, როგორ აპირებს ედმონტონი მეტოქის ძლევას.


დებრეიტმა დაინუნა, მისული არ გარგობდა

როცა პლეი ოფის ციებ-ცხელება ზენიტს უწევს, დებრეიტის სენსაციური მარცხი ყველას მიაიწყლება. ახლა კი ჩემპიონის ასე უბოდიშოდ დამხობა ყველას ყურადღების ცენტრშია.

გოლების უმრავლესობა ისეთ მომენტებში გაიტანა, როცა კერტის ჯოზეფი უსაქმურობისგან თვლემდა.

ტმა ბოლო ხანებში ყველაზე საწყინი მარცხები პლეი ოფის კალიფორნიულ გუნდებთან იქვია, რაც იმითაა განპირობებული, რომ ამ შტატის არენაზე ერთობ ცუდი ყინულის, ლიგაში ყველაზე უარესი და გაზაფხულობით კიდევ უფრო უარესდება.

როცა პლეი ოფის ციებ-ცხელება ზენიტს უწევს, დებრეიტის სენსაციური მარცხი ყველას მიაიწყლება. ახლა კი ჩემპიონის ასე უბოდიშოდ დამხობა ყველას ყურადღების ცენტრშია.



ჩემპიონები გაოგნებულები ასევე იყვნენ მათი განადგურების აღმშენებელ ანგარიშს

დედის სამუოხლოში

ცურვაში თლიმბიური ჩემპიონი კატერინ ფოქსი მამინ დაიბადა, როცა ამერიკა-ვიეტნამის ომი უკვე დასრულებული იყო. ის ვიეტნამელი ქალისა და ამერიკელის შვილია და საოჯახო თავგადასავალიც თავისებური აქვს. ახლა ფოქსი პირველად ჩავიდა დედის სამშობლოში და, ცხადია, ვიეტნამელ მოცურავეებსაც შეხვდა. კატერინის ვიეტნამური სახელი მია ლანია.




REUTERS პარიზიდან



როცა ხამს, ლუღს ასხამს

ამანდა კუცერი სახელიანი მეჩოგნეა, მაგრამ როცა ხამს, არც ლუღის ჩამოსხმა ეთავილებს... ჩვენ ახლა ამელია აილენდში ვართ, იქ ქალთა საჩოგბურთო ტურნირი მიმდინარეობს და – ჰაი, ვიდი – ქაფქაფა ჰაინეკენი ეგებ არც ჩვენ დაგვემადლოს.

მაგრად, ბებერო



REUTERS ფილადელფიიდან

მაიკლ ჯორდანს ყველა მშვენივრად იცნობს, პლასტიკით თითქმშეკრული ჭადარა კაცის ცნობა კი ამ სიმორიდან თითქოს ძნელია. ჯორდანი კალათბურთის ეთნოგება, მისი „ვიზარდის“ ფილადელფიაში თამაშობს იქაურ „სიქსერზთან“, ჭადარა კი სხვა არაფერია, თუ არა „ფილადელფიისა“ და საერთოდ კალათბურთის დიადი ვარსკვლავი, ჯულიუს ირვინგი, სხვანაირად კი დოქტორ ჯეი, რომლის კლუბანტურობა და სიმსუბუქე ჯორდანსაც მისაბაძად ჰქონდა.

REUTERS პორტ ოვ სპეინიდან



პესტინდურ აღგილეზუი

ვესტ ინდოეთში დიდი კრიკეტია ვახურებული: იქაურ მინდვრებს ავსტრალიის ნაკრები სტუმრობს. პირველი ტესტი გაიანაში, ჯორჯტაუნში იყო, სადაც ვესტინდური კრიკეტის დიადებს, ბრაიან ლარას (მარცხნივ) და ღარუნ ვენგას ხალხი ხის ტოტემიდანაც კი უცქერდა. ახლა გუნდები ტრინიდადში გადაბარდნენ. მეორე შეყრა პორტ ოვ სპეინში გაიმართება, სადაც განტვირთვის ამბავში ვესტინდონი იქაურ ფეხბურთის გუნდს ეღობულებიან. ჯანზე მოსული რამზარემ სარვანი, რომელმაც ჯორჯტაუნში ვერ ითამაშა ხელის ტრავმის გამო, ახლა კი კარგ ხასიათზეა.



REUTERS ჯორჯტაუნიდან

სარბიელი
საორტული გაზეთი

გამოიცევა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერიანი
ლიტერატორი გიორგი ოპროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული

მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ჭრთული ფეხბურთის რედაქტორი დავით თაყაიშვილი
კაბა ინსა-რაძე
მხატვარ-კონტორიანი, პატა კვინიტაძე, კახა შალვაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი:
გიორგი ლომიანი, ილია ბაქუნაშვილი, სილომონ გულიანაშვილი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვაია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ლევან კვლავაძე, ირაკლი პერტია, მანო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში კანო ოქროპირაძე
ფოტორეპორტიორები: კურამ დოღუნაშვილი, ბაღრა კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გულუტაშვილი, თამაზ
გოგებაშვილი, ირინა გოგიაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა
დევაძე, ფატი დვალისხილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენ-
გიზ ფიფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაგის გამზირი 42, II
ქორაუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbieri.com.ge>